წელიწადი მესამე | ფასი 10 კაპ. | კვირა, 8 იანვარი, 1917 წ. № 6

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ... ... უკანასკნელზე—20 ... ... მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. ვ სათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის ...) ღირ. მეტი. დამატებანი № ... ყველგან 10 კაპ.

მიიღება ხელის მოწერა

ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

1917 წ. წელიწადი მესამე

## „საქართველო“

1917 წ. წელიწადი მესამე

ყოველკვირეულ სურათებიან დამატებით

გაზეთი არის ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებისა. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურს ცხოვრებას: ვაჭრობა-მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის წარმატებას, საპროფესიო და სატეხნიკო ცოდნათა გავრცელებას.

გაზეთს საკუთარი კორესპონდენტები ჰყავს საქართველოს მნიშვნელოვან დაბა-ქალაქებსა და სოფლებში და აგრეთვე პეტროგრადსა და მოსკოვში.

გაზეთში უახლოეს თანამშრომლობას ეწევიან:

ავ. აბესაძე, ი. აბულაძე, არქ. ამბროსი (ხელაია), დ. არონიშიძე, ა. ასათიანი, ალ. ახმეტელი, ვ. ბარნოვი, ივ. ბუქურაული, ექ. გაბაშვილისა, რ. გაბაშვილი, განდეგილი, გ. გვაზავა, ს. გორგაძე, გ. გორდეზიანი, გ. გუნია, შალვა დადიანი, ზ. ედილი, ი. ვართაგავა, გრ. ვეშაპელი, ექ. თაყაიშვილი, ინ-ბანი, პ. ინგოროყვა, ჩ. კაპანაძე, დ. კასრაძე, პოლ. კარბელაშვილი, დ. გ. კარიჭაშვილი, დ. კახელი, ეპისკოპოსი კირიონი, ს. კედია, დეკ. ქ. კეკელიძე, დ. კოპალი, ნ. კურდღელაშვილი, Legatus, ეპისკოპოსი ლეონიდე, იას. ლორთქიფანიძე, ნ. ლორთქიფანიძე, ტ. მარგველაშვილი, კ. მაყაშვილი, ი. მაჭავარიანი, დუტუ მეგრელი, მელანია, შ. მღვიმელი, ნიკო ნიკოლაძე, გ. ჟორდანია, გრ. რობაქიძე, ვ. საათაშვილი, გ. საქარიჭედელი, თედო სახოკია, ტ. ტაბიძე, ი. ფერაძე, შ. ქარუმიძე, ს. ქვარიანი, გ. ქიქოძე, ნ. ყიფიანისა, სვ. ყიფიანი, გ. ყიფშიძე, მიხ. შალამბერიძე, ვ. შალიკაშვილი, პროფ. ა. ცაგარელი, აპ. წულაძე, დ. ჭიაბრიშვილი, ზ. ჭიჭინაძე, მ. ჯანაშვილი, ლ. ჯაფარიძე, ხამხედრო მიმ. ბ-ნი X.

**გაზეთის ფასი:** მთელის წლით—15 მან., ნახევარის წლით 9 მან., სამის თვით 5 მან., ერთის თვით ქალაქში 1 მ. 80 კ.

ქალაქ გარეთიდან გაზეთის გაწერა ერთის თვით ფოსტის საშუალებით არ მიიღება.

არა წლიურ ხელის მომწერთათვის გაზეთი თვის პირველ რიცხვიდან იქნება ნაანგარიშევი. წლიურ ხელის მომწერთათვის ფასის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება შემდეგის წესით: ხელის მოწერის დროს 7 მან., პირველ მარტისათვის 5 მან. და პირველ ივნისისათვის 3 მან.

ვისაც სურს გაზეთის გაწერა წლიურად, ეს უნდა მოიხსენიოს პირველსავე ხელის მოწერის დროს. ✦ რედაქციის მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. ✦ კანტორა ღიაა: დილით 9—3 ს.-დე. საღ. 5—7-დე.

რედაქტორი: სანდრო შანშიაშვილი. გამომცემელი: ამხანაგობა „საქართველო“.

მიიღება ყოველ დროს

---

გაზეთ „საქართველო“-ზე
**ხელის მოწერა მიიღება:**
**თბილისში**—ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანტორაში ბ-ნ ვას. ედილაშვილთან.
**ქუთაისში**— 1) ჟურნალ გაზეთების კანტორა „იმერეთში“,
2) საურთიერთო ნდობის საზოგადოების ბანკში ბ-ნ რ. დათეშიძესთან, ბ-ნ ი. პურადაშვილთან,
3) მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში ბ-ნ პ. გელაშვილთან.
**ბათომში** — ჟურნალ-გაზეთების კანტორა „განთიადში“, ბ-ნ მგალობლიშვილთან და ექ. მარუაშვილთან.
**ხონში** — მ. ჭავჭანიძის წიგნის მაღაზიაში.
**სამტრედიაში**—პორფილე ჭეიშვილთან.
**ჭიათურაში**—გალაქტიონ ქავთარაძესთან.
**ბაქოში** — ძმათა ბოსტალანიშვილების ავეჯეულობის მაღაზიაში და ალექს. სიმ. ლორთქიფანიძესთან (კრასნოვოდსკაია ქუჩა № 10. ტელეფონი 47—90).
**გორში** — ძმათა რომანიშვილების მაღაზიაში.
**ზუგდიდში**— ბ-ნ პეტრე კეიდიასთან (შემნახველ-გამსესხ. ამხანაგობაში).

---

## დილის წარმოდგენა
**ახალ კლუბის შენობაში**
კვირას, 8 იანვარს, ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ ვ. გამყრელიძის მონაწილეობით
წარმოდგენილი იქნება: **„და-ძმა“** დრ. 5 მ. და 6 სურ. ვ. გუნიასი.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი დავითაშვილი, ქილარჯიშვილი, ბ-ნნი: ბარველი, იმედაშვილი, გამყრელიძე, ფრონისპირელი, ზარდალიშვილი, თარალაშვილი, ჩაგუნავა, კობახიძე და გვარაძე
ადგილების ფასი 170—30 კ.-მდე. ✦ დასაწ. დილის 12 საათზე.
ადმინისტრაცია ქართ. დრამ. საზოგადოებისა.
(1—509—1)

---

მოიკითხეთ ყველგან

გ. ლეონიძის
რედაქტორობით

---

## ხარფუხის საზოგადო კლუბი
(მიხეილის პროსპექტი, № 163, საზამთრო შენობა)
კვირას, 8 იანვარს,
**სიმფონიური ორკესტრი**
ორშაბათს, 9 იანვარს,
**სინემატოგრაფი, სიმებიანი ორკესტრი**
სტუმრები საზოგადო წესით. ✦ დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

---

ქ. თბილისში დაარსდა
## მელნის ქარხანა
## „ალაროდია“
ამზადებს საუკეთესო საკანცელარიო მელანს,
**ალიზარინის ფერისას**
პირველხანად ქარხანა გაჰყიდის მელანს ორ-ორ გირვანქიან ბოთლებით.
ლაზარეთებს და სამხედრო დაწესებულებათ შეღავათით დაეთმობათ.
მელანი პირის გადასაღებადაც (კაპიროვკა) კარგია.
დაკვეთა დაუყოვნებლივ სრულდება
ადგილობრივ თუ გაგზავნით.
საჭიროა აგენტები, როგორც თბილისში, აგრეთვე სხვა დაბა ქალაქებშიაც.
**მისამართი:** თბილისი, მოსკოვის ქუჩა, № 16, „ალაროდია“.
(თ.—228—თ.)

---

ექიმი
## ფონ-ირტელი
(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).
მოსკოვის სახაზინო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის 9½-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.
ერლიხის „914“ და „606“
შეშხაპუნება

ექიმი
## ივანე თიკანაძე
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18.

ექიმი
## მ. ი. ვაჩნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბეღლინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

ექიმი
## მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმმა
## ვ. მ. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5-6 ს.-მდე, კვირა დღეს გარდა
მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოები. შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
## ახალი აფთიაქი
პროვიზორის ახვლედიანისა

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
## კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებათ ავადმყოფებს მიიღებს ოლდას ქ. № 3.

ექიმი
## პ. ი. გვარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელეფ. 15—00.

---

## სამეზობლო პირობა

ქართველობამ თავის დროზედ ვერ გააფრთხილა სომხობა, შუაგულ საქართველოსა და მის განაპირებს ტალღებად რომ ზედიზედ ასკდებოდა. თითქოს ეს მოვლენა სასურველი ყოფილიყოს და ჩვენის ქვეყნისთვის დიდათ გამოსადეგი, ისე სიამოვნებით და კმაყოფილებით შევცქეროდით მას თითქოს ჩვ ... ... ... თვითარსებობის ქინი, ისე უდარდელად და უზრუნველად ვუმზერდით სომეხთა ჩამოსახლებას და საქართველოს ქონებისა და საკუთრების მათ მიერ ხელში ჩაგდებას. ვერ გაგვითვალისწინებია, თუ რა საფრთხე იყო, როგორც ჩვენის ფიზიკურ გამრავლებისთვის, ისე ჩვენის კულტურულ და პოლიტიკურ დაწინაურებისთვის ეს სომეხთა შეუჩერებელი რიცხვითი ზრდა და მათი ეკონომიური გაძლიერება ჩვენს ქვეყანაში. ვერ ვამჩნევდით, თუ რა მომაკვდინებელი შედეგი მოჰყვებოდა სომეხთა იმიგრაციას საქართველოში და თუ როგორ იხლართებოდა და რთულდებოდა ჩვენი საშინაო, საოჯახო ცხოვრება!

„კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“, ქართველურის გულსავსეობით ვეუბნებოდით ყველას, ვინც კი საქართველოს უნებურად გაღებულს ჭიშკარში ფეხს შემოსდგამდა. მთელ ქვეყნიერობას ძმობას ვეფიცებოდით. ტანში საერთაშორისო და საკაცობრიო სიყვარულის ციებ-ცხელება გვედგა და განგებას მადლობას ვსწირავდით, რომ ამ გრძნობის პრაქტიკული გამოხატვის და ხორცშესხმულად მის გამოთქმის საშუალებას გვაძლევდა საქართველოში სომხების შემოყვანითა და დაბინავებით! ერთხელაც არ გვითქვამს იმის შესაფერი სიტყვა, როგორიც უნდა ეთქვა ასეთ პირობებში ყოველ ერს, რომელიც თავის მომავლისათვის ფიქრობს და ზრუნავს, რომელიც თავის სხეულში გამრავლების ენერგიას გრძნობს და თავის კულტურულ თვითშემეცნებაში კიდევ—ეროვნულ-პოლიტიკურ თვითალორძინების დაუძლეველ საჭიროებას! არ გვითქვამს, მაგალითად, რომ საქართველო ქართველების სამკვიდრებელია, რომ მისი სივრცე და განფენილობა ქართველთა თესლის მოსაშენებელი ნიადაგია, რომ ყველას საქართველოს მოსისხლე მტრად მივიჩნევდით, ვინც კი მის დასახიჩრებასა და დაპყრობას შეუდგებოდა, სულერთია ეს დასახიჩრება და დაპყრობა მშვიდობიანის ხერხით იქნებოდა, თუ თოფ-იარაღით! ეს თქმა კატეგორიული გაფრთხილება იქნებოდა, და მის შემდეგ ჩვენის თავდაცვის ყოველგვარი ღონისძიება და საშუალება სამართლიანი. დედა-მიწაზე ყოველგან ასე ყოფილა და რაღა ჩვენ უნდა ვქცეულიყავით გამონაკლისად! მაგრამ არ იყო შეგნება და არც ეს საჭირო და გონიერი სიტყვა თქმულა. არ იყო შეგნება, არ იყო სიტყვა და არც შეწონილი საქმე ყოფილა! თუ არ საბედისწერო, მეტად სახიფათო სინამდვილე მაინც შეგვიქმნა ამ გარემოებამ. ძნელად, ერთობ ძნელად მოსარჩენი ჭრილობა მოგვაყენა. ამას უფრო მაშინ ვგრძნობთ, როდესაც ბავშკობის ასაკიდან გამოვალთ და შევიგნებთ, რომ სინამდვილე და პრაქტიკული საქმიანობა ერთია და განყენებული ფორმულა-თეორიები კიდევ—სხვა! ამ მეზობლებმა ჯერ ახალ-ქალაქისა და ახალციხის მაზრების ჩამორთმევა შემოგვბედეს; რად უნდა გავიკვირვოთ, რომ ხვალ მათმა მადაზე მოსულმა კუჭმა თბილისის მაზრა, თბილისითურთ მოითხოვოს?!

ეს ასე მოხდება უსათუოდ და უეჭველად, თუ ჩვენი ბედი სხვას მიუგდეთ სამოწყალოთ და თუ ჩვენს თავს ჩვენვე არ მოვუარეთ, თუ ჩვენის ინტერესის დასაცავად მსხვერპლი არ გავიმეტეთ, თუ რომ მომავალი არ გავითვალისწინეთ და თუ ამ გათვალისწინებულ მომავლის განხორციელებისთვის საზრიანი ყოველდღიური საქმიანობა არ ვაწარმოვეთ. დანდობა არასოდეს ყოფილა სიცოცხლისა და ცხოვრების კანონი, იგი არასოდეს ყოფილა სოციალი შემოქმედებისა და ეროვნულ სიმტკიცის ფაქტორი. ცხოვრება ბრძოლაა და სიცოცხლეს მხოლოდ შერჩეულები ინარჩუნებენ!

წარსულის მწარე გაკვეთილმა ჭკუა უნდა გვასწავლოს.

თუ რომელიმე მეზობელთან მართლაც ნამდვილი მეგობრობა გვსურს, მეგობრობა, რომელსაც თვით ფაქტიური სინამდვილე ამართლებდეს და განამტკიცებდეს, მთელის ერის ხმით მას უნდა გადაჭრით ეუწყოს ჩვენი conditio sine qua non, უნდა ეცნობოს მეგობრობის გარდუვალი და კატეგორიული პირობა. და თუ რომელსამე ჩვენს მეზობელს მართლაც და გულწრფელად სურს ჩვენთან კეთილგანწყობილება იქონიოს, ამ პირობაზედ უნდა ხელი მოაწეროს. თუ არა და ლაპარაკი მეტი იქნება.

კავკასიის თათრების მიმართ ქართველობა დღეს მეგობრულად არის განწყობილი. ეს განწყობილება გულწრფელია. ამას ისინი კარგად უნდა გრძნობდნენ: გარდა ბუნების იმ დასაბამისა, რომელიც ყოველთვის სხვის სიყვარულს, პატივისცემას უფრო უნდა გვირჩევდეს ერების ათვალწუნება-მძულვარებას, გარდა ჩვეულებრივი ქართველური თავაზიანობისა და კეთილშობილებისა თათრებისადმი, ჩვენს ამ მეგობრულ განწყობილებას, ობიექტიურ პირობათა ძალა და ლოღიკა უძევს საფუძვლად. ეს კეთილგანწყობილება

გერასიმე სიმონის ძის

**ქიქოძის**

გარდაცვალების მეორმოცე დღის, იანვრის 8, დილის 12 საათზე, ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში გარდაცვალებულის სულის მოსახსენებლად გადახდილი იქმნება პანაშვიდი, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობ მეგობრებს მიცვალებულის დანი და ძმანი.

(1—464—1)

გულ დათუთქული დედა კნ. ნატალია ნიკოლოზის ასული აბაშ ძისა, მეუღლე კონსტანტინე [illegible] ძე საბახტარიშვილი და ბიძები თავ. გრიგოლ და ლევან კონსტანტინეს ძენი აბაშიძეები, აუწყებენ ნათესავთა და მეგობართ

ნინო (ნუცა) თავ. იასონ აბაშიძის ასულის

**საბახტარიშვილის**

უდროოთ გარდაცვალებას.

პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 7 საათზე, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. ცხედარს გამოასვენებენ ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიიდან სამშაბათს, 10 იანვარს, ნაშუადღევს 4 საათზე, რკ. გზის სადგურზე, საიდანაც ღამის მატარებლით წაასვენებენ ქ. ქუთაისში. ქუთაისის სადგურიდან ოთხშაბათს, დილის 9 ს. ცხედარს წაასვენებენ საკრებულო ტაძარში. დაკრძალვა წირვის შემდეგ საფიჩხიის სასაფლაოზე.

14 იანვარს ნინოობას
ახალ კლუბის დარბაზში გაიმართება
ტრადიციული საღამო ქართვ. ქალთა საზოგადოებისა

შემდეგის პროგრამით:

I. **სამშობლო** მეორე მოქმედება.

II. **რუსთველი** მეორე მოქმედება.

III. **პატარა კახი** მეორე მოქმედება.

IV. **აპოთეოზი** ქეთევან დედოფლის დაწვა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი დავითაშვილი, ქიქოძე, ქილარჯიშვილი, შოთაძე, ჯავახიშვილი; ბ-ნი იმნაძე, გვარამაძე, ზარდალიშვილი, ფრონისპირელი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ბილეთები იყიდება დილით „სახალხო ფურცლის“ კანტორაში, საღამოთი „ძმურ ნუგეშში“. 1—512—1)


და მეგობრობა ერთგვარი ობიექტიური საჭიროება - იძულებაა, თუ შეიძლება ასე ითქვას, და მეგობრობის დღეგრძელობის საწინდარიც სწორედ ეს უნდა ყოფილიყო. თათრობა უფრო ბინადარი ხალხია, მას თვისი საკუთრება აქვს, თვისი მიწა-წყალი, იგი არ დაეძებს არც აკვნის დასადგამ ადგილს და არც კუბოს ჩასაშვებ საფლავს, როგორც ეს ბედის მიერ ნამუხთლ სომხობას მოსდის. თუ კავკასიაში სომხობა ჯერ კიდევ ქოჩად მავალია, არ დამაგრებულა, თუ იგი ახალ სამშობლოს შექმნის პროცესშია და ამიტომაც ხან აქ უნდა შემოიჭრას და ხან იქ,—თათრობა, პირიქით, მკვიდრად ზის თვის ადგილზე, იგი სხვის ღია ჭიშკარს აღარ დაეძებს. ეს გარემოება დაუფასებელ უპირატესობას წარმოადგენს ჩვენსა და მათს შორის კეთილ მეზობლობის დასამყარებლად.

გულის მწუხარებით უნდა აღვნიშნოთ, რომ კავკასიის თათრები სათანადო სიფრთხილით არ ეპყრობიან და არც აფასებენ იმ ძვირფას სინამდვილეს და იმ მრავალ მოსაზრებას, რომელნიც ჩვენის უზადო მეგობრობის წარმოშობი და განმამტკიცებელი უნდა იყვნენ! ისე გამოდის, თითქოს გულს აკლიათ, რომ დღემდე არსებული ჩვენი და მათი სინამდვილე საყალ-მაყალო მასალას არ იძლევა და ამიტომაც ცდილობენ სახათაბალო რამე წარმოშვანო. ყურადღებას არ ვაქცევდით წვრიმალ ფაქტებს და არასასიამოვნო ამბებს, დღემდე, რომ ჩვენამდის მოდიოდა თათრების საქველ-მოქმედო საზოგადოების ქართველ მაჰმადიანთა შორის მოქმედების შესახებ. გვგონია, თვით დაინახავდენ ამას და დაერიდებოდნენ ისეთ საქმიანობას, რომელსაც შეიძლო უნდაც ოდნავი უსიამოვნება წარმოეშვა. მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. დღეს კი იმას ვშიშობთ, ვაი თუ ძველი შეცდომა ჩავიდინეთ და თუ ჩვენი დუმილი ისე გაიგეს, თითქოს მათი მოქმედება ჩვენში სრულს მოწონებას და დასტურს პოულობდეს. თუ ასე ფიქრობენ, უნდა მოვახსენოთ, რომ შემცდარნი ბრძანდებიან. ქართველი, მაჰმადიანია იგი თუ ქრისტიანი, გრიგორიანი, კათოლიკე თუ მართლმადიდებელი, ყოველგან და ყოველს პირობაში იგი ქართველია და მის სამკვიდრებელი კიდევ საქართველოს ნატეხი. ეს კატეგორიული დებულებაა და ჩვენი მოქმედების ქვაკუთხედი ყოველგან, სადაც ქართველს არ დაუკარგავს თავისი ენა, ზნე-ჩვეულება, სადაც შეუნახავს წინაპართა ხსოვნა და თავისი ნაშთები და კულტურა არ დაჰვიწყნია.

ეროვნება სარწმუნოებაზედ არ არის დამოკიდებული და სარწმუნოება კიდევ ეროვნებაზედ. მაჰმადის ნახევარ მთვარე და ქრისტეს ჯვარი—ოსმალო და გერმანელი, ერთად იბრძვიან, ხოლო ტომით ნათესაური და სარწმუნოებით ქრისტიანები, ბულგარელი, რუსი და პოლონელი ერთმანეთს ებრძვიან. ყოველივე ეს საყოველთაო ჭეშმარიტებად არის ცნობილი და უკამათო სინამდვილეა. და როდესაც რელიგიური ერთობის მეოხებით კავკასიის თათრობა ქართველ მაჰმადიანთა ეროვნულად გადაბირებას დაეწაფება და საქრისტიანო საქართველოდან სამაჰმადიანო საქართველოს ჩამოსაჭრელად ნიადაგის შემზადებას ცდილობს, აქ, ამ მოვლენაში, ბევრიც რომ მოვინდომოთ, მეგობრობასა და კეთილ განზრახვას ვერ დავინახავთ.

დარდს ისიც ვერ გაგვიქარვებდა, რომ მოგვესმას, რაც მოხდა, სრულიად შეუგნებლად მოხდაო, რადგან მეგობრის ასეთი შეუგნებლობა თავისთავად სასიამოვნოდ ვერ ჩაითვლება. ქართველობა დღეს მაჰმადიან ქართველებს შორის კულტურულ მუშაობას ეწევა, ცდილობს დაკარგული ძმები საერთო სამშობლოს იდეას აზიაროს. საქართველო თვის ეროვნულ ორგანიზმის გამთელებას ლამობს და ვინც ამაში რითიმე ხელს შეუშლის, ის საქართველოს მეგობარი ვერ იქნება.

რასა ჰრგებს, მაგალითად, ქართველ-თათართა დაახლოვება-დამეგობრებას ის, რომ ბაქოს მუსულმანთა საქველმოქმედო საზოგადოებამ თურქული სკოლა გახსნას ორთაბათომ-ყოროლისთავში, სადაც ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობენ და სადაც უკვე ორი სკოლა არსებობს; ერთი ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების და ერთიც სამინისტრო? ესა და სხვა ამგვარი განზრახვა თუ მოქმედებანი მარტოოდენ ეჭვებს თუ აღძვრენ და ხიდს თუ ჩასტეხენ, თორემ სხვა სიკეთეს ვერ მოგვიტანენ. შეგნებულმა თათრობამ უნდა გვერდი აუხვიოს ამას, თუ ჩვენთან გულწრფელი მეგობრობა სურს.

ჩვენ მტაცებლად და დამპყრობელად არავის სამშობლოში არ შევდივართ. არც ერთი მეზობელი ხალხის დანაწილება არა გვსურს. არავის არ ვართმევთ მაზრებს და ოლქებს. მაგრამ სამაგიეროდ მოვითხოვთ, რომ არცერთი მათგანი არ ეხებოდეს საქართველოს სხეულს და საზღვრებს, რომელიც მკაფიოდ ჩამოქანდაკებულია; მოვითხოვთ ჩვენის სისხლით დაცულ სამშობლოს და წინაპართა საფლავებით დაფენილ მიწა-წყალს ხელი არავინ შეახოს.

მეზობლის იდეალი და თეორია, მისი პრაქტიკული საქმიანობა და მოღვაწეობა საქართველოს ტერიტორიულ, კულტურულ და ეროვნულ მთლიანობას საფრთხეს არ უნდა განუმზადებდეს, არ უნდა აფერხებდეს.

ეს არის ჩვენი კატეგორიული პირობა და ვისაც ჩვენთან მეგობრობა და კეთილგანწყობილება სწადიან, ეს პირობა უნდა ინტეგრულად, სავსებით დაიცვას.

ხ. კედია.

## სათათბიროს მოწვევის გადადება

მთავრობა არ უნდა შეხვდეს სახელმწიფო სათათბიროს, ვიდრე ყველა საჭირო პოზიცია არ გაუმაგრებია და საკმაო „საომარი“ მასალა არ დაუმზადებია საკანონმდებლო დაწესებულებათა წევრების დასამარცხებლად. სამინისტრო პორტფელები ისეთმა პირებმა ჩაიბარეს, რომელნიც პირად უფროულობასთან ერთად, ცნობილნი არიან როგორც უკიდურესნი ბიუროკრატები და დარწმუნებული მოწინააღმდეგენი ყოველგვარი თანამშრომლობისა სათათბიროს პროგრესიულ უმრავლესობასთან ერთად. მას შემდეგ, რაც სათათბირომ კატეგორიულად დაჰგმო შტიურმერ-ტრეპოვ პროტოპოპოვის პოლიტიკა და გადაჭრით მოითხოვა მათი გაძევება და მათ ადგილას საზოგადოებით აღჭურვილ პირთა მოწვევა, ყველა ამის შემდეგ ამ ახალ პირთა ჩადგომა ქვეყნის მართვა-გამგეობის სათავეში, მთელი სათათბიროს და მასთან ერთად მთელი საზოგადოებრივი რუსეთის აბუჩად აგდება იყო.

რასაკვირველია, სათათბირო ასეთ შეურაცხყოფას ვერ აიტანდა და პირველსავე შეხვედრის დროს მთავრობის წინააღმდეგ მთელის თვისი ძლიერებით გაილაშქრებს. იგი აქ არ დაერიდება მხილებას და ულმობელ კრიტიკას, როგორც იგი ამას არ დარიდებია წარსულში და განსაკუთრებით უკანასკნელი სესიის გახსნის დროს. ყველაფრიდან აშკარად სჩანს, რომ მთავრობა და სათათბირო ასეთ პირობებში თანამშრომლობას ველარ შესძლებენ. მთავრობა ამას მშვენივრად გრძნობს და ამიტომაც მან ჯერ მხოლოდ ერთის თვით გადასდო სათათბიროს მოწვევა. განკარგულება მეტს მღელვარებას და ნერვიულობას შეიტანს საზოგადოებაში. ყოველი ასეთი ზომა და ღონისძიება ახალ-ახალ ასაფეთქებელ მასალას აგროვებს და მთავრობისა და სათათბიროს პირველმავე შეხვედრამ შეიძლება ამ მასალაში საბედისწერო ნაპერწკალი გადაისროლოს, და ამან ან სათათბირო იმსხვერპლოს, ან კიდევ სხვა ვინმე.

Pierre.

## ქართული პრესა

„სახალხო ფურცელი“ ეხება იმ მოღვაწეობას, რომელსაც ეწევა ბაქოს თათრული საქველმოქმედო საზოგადოება ქართველ მაჰმადიანთა შორის და სწერს:

„ბაქოს თურქების საქველმოქმედო საზოგადოება დიდიხანია მოღვაწეობს სამაჰმადიანო საქართველოში და ამის საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს. მაგრამ ბაქოელ ქველმოქმედთ თავის მუშაობაში ერთგვარი პოლიტიკური ტენდენცია შეაქვთ, უნდათ სარწმუნოებრივ სამოსელში გახვიონ ყველაფერი, დაჩრდილონ ეროვნული სახე და ამით დააბრკოლონ მაჰმადიან და ქრისტიან ქართველების ძმობა და ერთობა“.

ამის შემდეგ გაზეთს მოჰყავს ის ცნობა, რომ ხსენებული საზოგადოება ორთაბათომ-ყოროლის-თავში აპირებს თურქული სკოლის გამართვას და განაგრძობს:

„არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ ჩვენ [illegible] მოძმეების სარწმუნოებას [illegible] ვსცემთ და არავის ნებას არ მივსცემთ—იქნება ქართველი ქრისტიანი თუ სხვა, რომ რაიმე შევიწროვება ან შეურაცხყოფა მიაყენოს მაჰმადის რჯულს. ჩვენ საუკეთესო დამცველები ვართ და ვიქნებით ჩვენი მაჰმადიანი ძმების სარწმუნოებისა. ვინც მათ რჯულს შეეხებს ხელს, იგი მთელი ქართველი ერის მტერია. მაგრამ კარგად იცოდნენ ბაქოელმა თურქებმა, არავის მივსცემთ ნებას, რომ ვითომდა საქველმოქმედო სახით კონტრაბანდად შეაპაროს ისეთი მოქმედება, რომელსაც საერთო არა აქვს-რა არც სარწმუნოებასთან და არც ქველმოქმედებასთან. ორთაბათომ-ყოროლისთავში თურქული სკოლის გამართვას მხოლოდ ერთი მიზანი აქვს—დააბნელოს მაჰმადიან ქართველების ეროვნული შეგნება...

ამნაირი ტენდენცია დაუყონებლივ უნდა აღიკვეთოს, მოისპოს. ამას მოვითხოვთ განსაკუთრებით იმ ხალხისაგან, რომელთანაც სულით და გულით გვწადია კეთილ-მეზობლური განწყობილება“.

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

ოფიციალ დეპეშათა გადმოცემით რუმინეთის ბრძოლის ველზე არსებითი ცვლილება არსად მომხდარა. გერმანელები ტროტუშის მდინარით კვლავ ისევე განაგრძობენ შეტევას, მხოლოდ დანარჩენ ხაზზე, სახელდობრ, ვედენის მიდამოში, რა ხდება, ჩვენ არ ვიცით. ოფიციალი დეპეშა არას ამბობს იმის შესახებ, დაიბრუნეს გერმანელებმა ვედენი, თუ არა. ერთი კია მართალი, გერმანელნი არაფერს დაზოგავენ და შეეცდებიან აუცილებლივ, როგორც ვედენი, ისევე მდინარე სერეტის მარჯვენა ნაპირი ხელში ჩაიგდონ. სანამ ამ მანევრს გერმანელები გამარჯვებით არ დაამთავრებენ, ძნელი წარმოსადგენი იქნებოდა გვეფიქრა, რომ მოპირდაპირე სხვა ადგილშიაც დაიწყებდა აქტიურ მოქმედებას.

ტროტუშით და ოიტუზით დაწყებული შეტევა ძნელად თუ მიიღებს განვითარებას, სანამ სამხრეთი ასპარეზი თავის გადამწყვეტ სიტყვას არ იტყვის.

აღმოსავლეთ ბრძოლის ველზე ჩვეულებრივ შეტაკებები სწარმოებს.

X.

## ომის დეპეშები

6 იანვარი.

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა**

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. სმორგონის სამხრეთით, სოფ. სანოვიჩეს მიდამოებში, ჩვენი მზვერავები მტრის თხრილებში შეიჭრნენ, ხელჩართული ბრძოლა გაუმართეს და 20 გერმანელი აკუწეს. ამავე დროს სამი ნაღმი ააფეთქეს. ს. სემირინკის დასავლით მიდამოებში ზარბაზნებით დავანგრიეთ მტრის მიწურები, მოპირდაპირემ მხოლოდ რამოდენიმე ზარბაზანი გვესროლა კისელინ-ელენევის გზაზე მდებარე ქალაში. ს. კრიჩკის მიდამოებში, მდ. ბისტრიცაზე, ასიოდე გერმანელი მოუახლოვდა ჩვენს სანგრებს, მაგრამ სროლით გავფანტეთ; ადგილობრივ დავატოვებინეთ იარაღი და ყუმბარა. ტყიან კარპატებში მოპირდაპირემ 200 ყუმბარა ესროლა პნევნის მთის სამხრეთით 10 ვერსზე მდებარე მაღლობს, მაგრამ სროლით მოვიგერიეთ.

**რუმინეთის ასპარეზი.** მდინარე ლიტორნის სამხრეთით მოპირდაპირის შემოტევა სროლით შევაჩერეთ. მონასტერკა-კიშენულის სამხრეთით მდ. კასინზე, რუმინელებმა გერმანელების იერიშები მოიგერიეს. პრალეას სამხრეთით რუმინელებმა ალყა შემოარტყეს მოპირდაპირის მიერ დაჭერილ მაღლობს, ხელთ იგდეს ბევრი ტყვე და 4 ტყვიის მფრქვეველი. დანარჩენ ასპარეზზე დუნაემდე და დუნაის გასწვრივ ზარბაზნების სროლაა.

**კავკასიის ასპარეზზე** ცვლილება არ მომხდარა.

7 იანვარი.

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. მიხაილოვის მიდამოებში, ბარანოვიჩის ჩრდილო-აღმოსავლეთით, 5 იანვარს ჩვენმა პოლკმა მტრის 2 სადარაჯო აიღო, 17 გერმანელი დავა-

## საქართველოს გაერთიანება და რუსეთის პროტექტორატი

(ქართლისა, კახეთისა, იმერეთისა ოდიშისა და გურიისა დაკავშირებითი ტრაქტატი 1790 წლისა)

მას მერე, რაც დავით აღმაშენებლის დროს შექმნილ ლაშქრის და ფინანსის ღონე მონღოლთ ურდოებმა დალიეს, საქართველოს გეოგრაფიულ ბედით გამოჭედილ დეცენტრალ ძალების ერთად-ერთ მონარქოსის ხელში შეკრობა გაჭირდა...

სხვა და სხვა ზღვებისაკენ დაქანებულ რიონისა და მტკვრის წყალთა მოპირდაპირე დენამ დასძლია ლონემოშვებულ დინასტიის გამაერთიანებელი პოლიტიკა...

ლიხის მთის იქითი და აქეთი საქართველოს ორად გაყოფას ზედ დაერთო გარეშე დეცენტრალი ფაქტორიც, ორი ერთიერთმანეთის მოცილე იმპერიათა მიერ საპროტექტორატო სფეროებად გაყოფა საქართველოსი... იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროთა ხელისუფლობას ოსმალეთი იკერძებს: ამერთა ქართლ-კახეთის სპარსეთი იჩემებს; სამხრეთს კი — სტრატეგიულ და კულტურულ ავანგარდს—სამცხე-საათაბაგოს სრულებით ჰგლეჯენ საქართველოს ტანს და ახალ-ციხეს ფაშალიყად ნათლავენ.

მაგრამ მთლიან და განუყოფელ საქართველოს იდეა ნიადაგ ღეროძი იყო ეკლესიისა და ერის ინტერესთა ერთობაზედ დაყრდნობილ ქართველ მეფეთა დინასტიურ პოლიტიკისა.

ამ ცხოველმყოფელ იდეის უკანასკნელი განსახიერება არის მეფე ერეკლე; ზოგიერთ გაუგებელ ქართველის წარმოდგენით მეფე ერეკლე მხოლოდ ლაშქრობაზედ გადაგებული მხედართ-მთავარი იყო, რომელსაც მაღალ პოლიტიკის არა გაეგებოდა რა.. დავიწყნიათ, რომ დიდებულ სამარეს ერთი საუკუნე ვერ გააცივებს და ერეკლე მეფის ქვეშევრდომთა უღირსნი შვილის შვილნი მოკრძალების მაგიერ უხამსო „სამსჯავროებით“ ჰბედავენ მათთვის მიუწდომელ ხსოვნის შეურაცხყოფას...

მეფე ერეკლე ღირსეული თანაზიარია ვახტანგ I-ის, დავით III-ის და გიორგი V-თესაგან ნაანდერძევ საქართველოს ერთიანობის იდეისა; მას შემდეგ, რაც 1744 წელს ერეკლე კახეთში გამეფდა, მისი საშინაო და საგარეო ღვაწლი სულ ერთმეფობის სამხედრო და საპოლიტიკო რესტავრაციას ეწირებოდა... მისთვის ააგო მან ციხე-სიმაგრენი; განაახლა გზები, დაამკვიდრა ბორჩალოს მადანთა სარეწავი, ააშენა ზარაფ—და თოფ-ხანები; იზრუნა ერის გამრავლებისათვის და გავერანებულ ადგილთა მოშენებისათვის; აღწერა ქვეყნის კაცნი; დაიფარა იტალიელ კომერსანტთა აღებ-მიცემობა; დააწესა სახაზინო ხარჯით შენახული და საყოველთაო სამხედრო ბეგრით შეკრებილი მორიგი ლაშქარი და ვალდებულ ჰყო თვით ბატონიშვილნიც ემსახურნათ ამ ლაშქარში; შემოიღო საქართველოში პირველად მოსულ გერმანელის, იაკობ რაინეგსის მიერ თარგმნილი გერმანული საადმინისტრაციო სამართალის კოდექსი...

ამიტომ მოუღო ბოლო ერეკლე მეფემ ქსნისა და არაგვის ერისთავთა იმუნიტეტს, დაამხო სამშვილდეს ბატონობა; გასწყვიტა მამა მისის გარდაცვალების შემდეგ ქართლის ტახტის საძიებლად აშლილნი და 1761 წელს ქართლ-კახეთი ერთ გვირგვინის ქვეშ მოაქცია...

ამისათვის გამოიყენა ერეკლემ სპარსეთის შაჰ-ნადირის სიკვდილით არეული ვითარება, სრულებით აღადგინა ქართლ-კახეთის ადრინდელი სუვერენიტეტი და ქართველთა ხელმწიფებას დაუმორჩილა ყაზახი, განჯა, შირვანი, ერევანი—ესე იგი, მთელი ამიერ კავკასი ვიდრე არეზამდე...

მაგრამ დასაბრუნებელ სამცხე-ახალციხეს „ირედენტას“ და შემოსაერთებელ იმერეთ-გურია-ოდიშს ძლიერი პროტექტორი სდარაჯობდა,—ოსმალეთი, რომლის სტრატეგიული დაცვისათვის ახალციხის, არტაანის, ყარსის და ბათომის ფლობა მეტად ხელსაყრელი იყო ყოველთვის.

ამიტომ მეფე ერეკლის გამაერთიანებელი პოლიტიკა ეყრდნობა იმ მესამე იმპერიას, ჩრდილოეთით და უკრაინით, ყირიმით და ასტრახანით რომ იწევდა კავკასიისკენ...

რუსეთის იმპერატორ-ქალს, ეკატერინე მეორეს, რომელიც თითქმის იმავე წელს გამეფდა, რა წელსაც ერეკლე,—ერთი ლაღი გარეგანი პოლიტიკის სადღეიძო პროექტი ჰქონდა. ეს იყო პოტემკინთან და ზუბოვთან ერთად შეთხზული „საბერძნეთის პროექტი“, რომელიც გულისხმობდა ოსმალეთის იმპერიის დამხობას და მის ადგილზე ადრინდელ საქრისტიანო სახელმწიფოთა აღდგენას, ადრიატიკის ზღვიდან მოყოლებული ვიდრე კასპიის ზღვამდე... ამ საქრისტიანო სახელმწიფოებში ერთი უკვე არსებობდა რეალად იმ ჟამს—საქართველო. ამიტომ, ბერძნულ პროექტის მიხედვით, საქართველო უნდა გაძლიერებულიყო, გაერთიანებულიყო და დაჰკავშირებოდა რუსეთს... ეს ის იდეა გახლავთ, რომელზედაც შემდეგ თავადი პლატონ ზუბოვი სწერდა მეფე ერეკლეს: ...„მოიხმარეთ რუსეთის ძლევამოსილება; თქვენი სამეფოთა და ხალხთა დიდებისათვის, შეართეთ და განამტკიცეთ განუყოფელად თქვენი სამეფო ხელმწიფება და განავრცელეთ თქვენი მფლობელობა ვიდრე არეზამდის და ოსმალეთის, ხონთქრის კარამდისო“. [1]

ზუბოვის მოხსენებას თვით ეკატერინეს რეზოლიუცია აქვს დასკვნილი: „ასე იყოსო“.

ეგრე პარალელად ეგებებოდა ერთი მეორეს ერეკლეს პანქართველიზმი და ეკატერინეს პანქრისტიანიზმი. ამიტომ, დამკვიდრდა თბილისში იდეა რუსეთის პროტექტორატისა.

1768 წელს გამოცხადდა რუს-ოსმალოს პირველი ომი და ერეკლე, ისე, როგორც იმერეთის მეფე სოლომონი, ეკატერინეს მოკავშირედ ჰხდება იმ იმედით, რომ ხონთქარს ხელს აალებინებდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოზედ. რუსეთმა დამხმარე ჯარიც გამოგზავნა, მაგრამ ამ ჯარის უფროსის, ტოტლებენის, გასაშტერებელმა მოქმედებამ აიძულა ეკატერინე უკანვე დაებრუნებია მისი ჯარი. ეს 1772 წელში მოხდა.

1) პროფ. ცაგარელი. გრამოტები და სხვა საისტორიო დოკუმენტები ტ. მეორე, ნაწ. 2, ფურცელი 142.

1773 წელს კი მეფე ერეკლე და იმერეთის მეფე სოლომონ პირველი საკავშირო პირობასა ჰკრავენ, რომელშიაც, აღიარებენ რა რუსეთის უმაღლეს მფარველობას, აღუთქვამენ ერთურთს:

„ვინიცობა არის, რასაც დროს ჩვენს ქვეყანაში მტერი შემოვიდეს, ერთმანეთს მსწრაფლად ჯარით მივეშველნეთ და ყოვლისფრით, რაც კი შეიძლებოდეს, გავისარჯნეთ.

„როდესაც ჯარი ვისმე ჩვენში ერთმანეთს სჭირდეს და რომელმანც მეპატრონემ ჯარი შესაწევნელად ერთმანეთს სთხოვოს, იმ დროს ვისიც ქვეყანა იყოს, იმ ქვეყნის მეპატრონემ იმ ჯარს სურსათი მისცეს და გააძლებინოს.

„ვინიცობა არის, ჩვენსავე ქვეყანაში შფოთი აღიძრას, ვისგანც უნდა იყოს, მაშინვე ერთმანერთს მივეშველნეთ და, რითაც კი შეიძლებოდეს, ისე დავაწყნაროთ, თუ გინდა ჩვენი ძმაცა და შვილიც იყოს, თუ უსამართლოდ იყოს, ისინიც დავაწყნაროთ და ავად მოვეპყრათ, ამისთვის, რომ ის უბედურება ამ ქვეყნისგან ამოიგდოს და აღარ მოძრაობდესო“... [2]

ეს საკავშირო პირობა პირველი იურიდიული აქტი იყო მეფე ერეკლის გამაერთიანებელ პოლიტიკისა; ფაქტიურად კი ამერ-იმერნი უკვე დიდი ხნის გაერთიანებულნი იყვნენ საქართველოს დასაცავად ბრძოლის ველზედ ერთად დაქცეულ სისხლის შერევით... გასაჭირის დღეს იმერ-ამერნი ყოველთვის თანაზიარნი იყვნენ... იმერლებმა ხრესილის ომი რომ მოიგეს, 1753 წელს, ქართლელები ეხმარებოდნენ მათ... იმერელნი იბრძოდნენ მეფე ერეკლეს დროშის ქვეშ, ქართლ-კახეთს რომ შემუსრვისა და ავარის ხანები ესეოდნენ დაღისტანის ჯარებით... რუს-ოსმალოს ომის დროსაც იმერელ-ქართლ-კახელნი ერთად ლაშქრობდნენ ახალციხეში... 1773 წლის საკავშირო აქტი (ამავე წელსვე დაარსა „მორიგი ლაშქარი“ მეფე ერეკლემ) მტკიცედ ამკვიდრებდა თვით ცხოვრებისაგან გამობრძმედილ იდეას—მეფე ერეკლეს სუვერენიტეტს მთელ ამერ-იმერ საქართველოზედ...

მაგრამ კუჩუქ-კაინარჯის ზავყოფის ტრაქტატმა, რომლითაც 1774 წელს დასრულდა რუსეთ-ოსმალეთის ომი, კვლავ გაჯანჯლა საქმე... კაინარჯის აქტი არას ამბობს აღმოსავლეთ საქართველოზედ, რომელთანაც ოსმალეთს არასოდეს ხელი არ ჰქონია... სამაგიეროდ, 23 არტიკულით რუსეთი დასავლეთ საქართველოს status quo ante-ს აღიარებს, სცნობს ოსმალეთის წინანდელ სუვერენობას და აღუქვამს,—რუსეთი აწი აღარ გაერევა იმერეთ-სამეგრელოს საქმეებშიო... ოსმალეთი თავის მხრივ ჰპირდება, ქართველებს არ შევავიწროვებო... ასე რომ იმერეთის შეერთების მთავარ დამაბრკოლებელ ფაქტორს არც 1768—1774 ომით მოელო ბოლო...

შეწუხებულმა ერეკლემ ორიენტაციის შეცვლაც კი დააპირა... მან მოიწადინა ევროპის წესით გაწვრთნილ მწყობრ ლაშქრის შექმნა და სახსრისა და ინსტრუქტორებისათვის ევროპის ხელმწიფეთ მიჰმართა თხოვნით 1782 წელს. კერძოდ ავსტრიის იმპე-

2) ნახეთ პროფ. ა. ცაგარლის ხსენებულ შრომის 95 ფურცელი.

ტყვედ, დანარჩენები ავკუწეთ. სოფ. ბუბნოვისთან მოპირდაპირემ მძიმე ზარბაზნებით სროლა აგვიტეხა. სმორგონის მიდამოებში მოპირდაპირემ ზარბაზნებით დაანგრია ჩვენი მავთულების ხლართი და იერიშით წამოვიდა სმორგონის სამხრეთ დასავლეთით მაღლობებზე მდებარე ჩვენს სანგრებზე და ჩვენი სროლის მიუხედავად მაინც შემოიჭრნენ სანგრებში, მაგრამ მაშველი ჯარის დახმარებით მდგომარეობა გამოვასწორეთ.

**რუმინეთის ასპარეზი.** მდ. ტროტუსის და ოიტუზის ველებში მოპირდაპირე დრო და დრო მძიმე ზარბაზნებს უშენდა დაბა ოკნასა და სოფ. ბოგდანეშტის.

5 იანვარი.

**პეტროგრადი.** ოფიციალი. დასავლეთის ასპარეზი. ს. სანოვიჩეს მიდამოებში სმორგონის სამხრეთით, ჩვენი მზვერავი რაზმები მტრის თხრილებში შეიჭრნენ და ხელჩართულ ბრძოლაში 20-მდის გერმანელი აჰკუწეს. ამავე დროს ჩვენ ავაფეთქეთ მტრის 3 სანაღმო გალლერეა. სოფ. სემირინკის დასავლეთით ჩვენმა არტილერიამ მტრის მიწურები დააქცია. მტერი აქ სუსტს წინააღმდეგობას გვ წევდა. ს. კრიჩკას მიდამოებში მდ. ბისტრიცაზე მტრის მზვერავთა ერთი ჯგუფი ჩვენს მოწინავე რაზმებს მიუახლოვდა, მაგრამ უკუ ვაქციეთ და ხელთ ვიგდეთ მათი თოფ-იარაღი და მრავალი სამხედრო მასალა. კარპატის ტყეებში მტერმა 200-დის ყუმბარა გვესროლა და პნევის მთის მახლობლად ჩვენს სიმაგრეებს იერიშით ეკვეთა, მაგრამ უკუ ვაგდეთ.

**რუმინეთის ასპარეზი.** მდ. სუტორნთან მტერი წინსვლას ჰლამობდა, მაგრამ შევაჩერეთ; მონასტერკა-კიშენულის სამხრეთით მდ. კასინაზე რუმინელებმა მტრის იერიშები მოიგერიეს. პრალეას სამხრეთით რუმინელებმა ალყა შემოარტყეს მტრის სიმაღლეს, ხელთ იგდეს მრავალი ტყვე და 4 ტყვიისმფრქვეველი.

**კავკასიის ასპარეზი.** მდგომარეობა უცვლელია.

## ცვლილება სამინისტროში
(პეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან)

**პეტროგრადი.** 5 იანვარი. უმაღლესი ბრძანება უმართებულეს სენატს:

შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგს ბალცს უმოწყალესად ვუბრძანებთ უმართებულეს სენატის წევრობას. ამასთანავე ვანიჭებთ მას ტაინი სოვეტნიკობას.

მიწადმოქმედების დეპარტამენტის დირექტორს სლობოდჩიკოვს უმოწყალესად ვანიჭებთ სენატის წევრობას, ტაინი სოვეტნიკის ხარისხით.

ჩვენს სტატს-სეკრეტარს, სახელმწიფო საბჭოს წევრს სენატორს გოლუბევს, თანახმად მისივე თხოვნისა, სახელმწიფო საბჭოს წევრობიდან ვანთავისუფლებთ და ვსტოვებთ სენატორისა და სტატს-სეკრეტრის ხარისხში.

შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგს, ჩვენი სასახლის ეგერმეისტერს, თავ. ვოლკონსკის, თანახმად თხოვნისა ვანთავისუფლებთ თანამდებობიდან და ვსტოვებთ ეგერმეისტრის ხარისხში.

სამხედრო მინისტრს ინფანტერიის გენერალს შუვაევს, უმოწყალესად ვნიშნავთ სახელმწიფო საბჭოს წევრად.

სამხედრო საბჭოს წევრს, ინფანტერიის გენერალს ბელიაევს უმოწყალესად ვნიშნავთ სამხედრო მინისტრად.

დედანს მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის საკუთარ ხელით აწერია:

ნიკოლოზ.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

### საფრანგეთი.

გაფიცვა.

პარიზის კერძო სამრეწველოებსა და სამხედრო ქარხნებში გაფიცვა, მუშები აღნიშნავენ, მექარხნეები დიდძალ ფულს იგებენ სამხედრო უწყებიდან, ჩვენ კი სიძვირის გამო ოჯახიც ვერ გამოგვიკვებნიაო.

საქმეში ჩაერია მინისტრი ალბერ-ტომა, რომელმაც მრეწველებს მოსთხოვა ხელფასის მომატება მუშებისათვის. თუ ვინმე მათგანი მუშებს არ დააკმაყოფილებს, სამრეწველოს ჩამორთმევას დაემუქრა. მუშათა და მრეწველთა შორის ატეხილი დავა სამედიატორო სასამართლომ უნდა გადასჭრას. მინისტრმა მუშათა ფედერაციას მოსთხოვა ხელფასის ნიხრი. ასეთივე ნიხრი მრეწველებსაც მოსთხოვა. ამათი მიხედვით განიხრავს ხელფასს.

მამულების ჩამორთმევა.

საფრანგეთის სენატმა 180 ხმით 36 წინააღმდეგ მიიღო კანონი, რომლის ძალითაც დეზერტირების მამული სახაზინოდ ჩაირიცხება. კომისიის წინადადებით, მამულის ნაწილი სამხედრო დეზერტირების შვილების სასარგებლოდ უნდა გადაედვათ, თანახმად საფრანგეთში არსებულ მემკვიდრეობითი კანონებისა, მაგრამ სენატმა უარჰყო ეს მოსაზრება და დაადგინა: სამხედრო ბეგრიდან თავის დამხწევთა მამულები სრულებით გადაეცეს ხაზინასაო.

1870 წელს პარიზში.

„დაილი ტელეგრაფ“-ი ეხება გერმანეთის სანაპიროთა გარემოცვას და იმედოვნებს, რომ მოკავშირენი გერმანეთსაც იმგვარ უკიდურეს პირობებში ჩააყენებენ, როგორშიაც იმყოფებოდა პარიზი 1870 წელს. გაზეთი გადმოგვცემს: „შიმშილი, ქვრი და სასოწარკვეთილება იდგა პარიზის ქუჩებსა და სახლებში. საშინლად ჰყინავდა, სათბობი კი ძერსადან მოჰქონდათ, რადგანაც პარიზი ალყა შემორტყმული იყო. ცხენის ხორცის მეტი არაფერი იშოვებოდა. საშობაო სუფრაზე ზოგიერთები შეექცეოდენ კატებს, ძაღლებს და ვირთაგვებს. ვირთაგვა ოთხაბაზად იყიდებოდა“. გაზეთი იმედოვნებს, რომ გერმანეთსაც ამ დღეში ჩააგდებენ მოკავშირენიო.

## უკანასკნელი ცნობები

ვაშინგტონში ხალხი დარწმუნებულია, ვილსონი ხელახლად შეეცდება და გერმანეთს ზავის პირობებს პირდაპირ ათქმევინებსო.

—

შვეიცარიასა და გერმანეთის საზღვარზე—გერმანელები ბაზელის და კონსტანცის შუა დიდს მანევრებს ახდენენო.

—

გერმანეთის ანექსიონისტთა პარტია დაბეჯითებით მოითხოვს საზღვაო ომს. ამბობენ გერმანეთი საბერძნეთს ისეთს საქმეს უპირებს, რომ მოკავშირე სახელმწიფოებს დიდათ გააცვიფრებსო.

—

გენერალ ბრუსილოვს ახალწლისადმი თავის შტაბში განუცხადებია, მომავალ წელს მოწინააღმდეგეს საბოლოოდ დავამარცხებთო.

—

რუმინეთის სახელმწიფო დაწესებულებანი იასიდან ხერსონში გადმოაქვთ.

—

პოლონეთის სამეფოს საბჭოს წევრებად ავსტრიიდან 10 კაცი იქმნა არჩეული, ხოლო რუსეთის დაპყრობილ გუბერნიათაგან 15 კაცი. ამ წარმომადგენელთ გერმანეთისა და ავსტრიის მართველები დიდის ამბით დაუხვდნენ. პოლონეთის სამეფოს დებულებანი უკვე შემუშავებულია. პირველათ განიხილავენ პროექტს იმის შესახებ, თუ როგორი ორგანიზაციები უნდა მოეწყოს პოლონეთის ჯარის შესაკრებათ.

—

დეპეშათა სააგენტო იტყობინება: 23 ქრისტეშობისთვეს ბლაგოვეშჩენსკიდან ივანოვკაში მიმავალს ხაზინას დასცემიან და გაუტაცნიათ 90,000 მანეთი. მოკლულია მეეტლე და ფოშტალიონი. ბოროტმოქმედნი ვერ შეიპყრეს. ევნით შეიპყრეს მეორე ფოშტალიონი.

—

პარიზს ამ დღეებში კიდევ ეწვევია გერმანელთა ჰაეროპლანები, მაგრამ მცხოვრებნი სრულებით არ შეშინებულან.

## ახალი ამბავი

ქართული დაწესებულებანი.

✦ **ამიერ-კავკასიის სავაჭრო-სამრეწველო ბანკის** საქმეებისა გამო, ხვალ, იანვრის 9-ს პეტროგრადს მიემგზავრებიან პ. ა. გოთუა და ნ. ე. წვერავა. ამათ ბანკის მთავარ საორგანიზაციო კომიტეტისაგან დავალებული აქვთ დააჩქარონ ფინანსთა სამინისტროში ბანკის წესდების დამტკიცება და დამტკიცებული წესდება თან წამოიღონ. იმათვე დავალებული აქვთ დააჩქარონ ბანკის აქციების დაბეჭდვა. გარდა ამისა, პ. ა. გოთუას მიანდო ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ იშუამდგომლოს ტატიანას კომიტეტში, რომ დამტკიცებულ იქმნას საზოგადოების სკოლებისა და თავშესაფარების ხარჯთ-აღრიცხვა. ამავე საზოგადოებისაგან მასვე დავალებული აქვს მოხსენება წარუდგინოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ საგანგებო საბჭოს, იმის შესახებ, რომ თანხა გადასდევს საზოგადოების საქვრივობათა გასაძლიერებლად. აგრეთვე მოხსენება უნდა წარუდგინოს კნ. ობოლენსკის კომიტეტს. ქალაქის გამგეობამ მიანდო ბატონ გოთუას სთხოვოს შინაგან საქმეთა მინისტრს დააჩქაროს თბილისის ქალაქის თვითმართველობის შუამდგომლობის განხილვა შესახებ საფუთო გადასახადის შემოღებისა და ეს შუამდგომლობა დასამტკიცებლად წარუდგინოს მინისტრთა საბჭოს.

ქალაქის დაწესებულებანი

✦ **ახალი ხმოსანი.** სტ. ჰრელაშვილის ადგილას ქალაქის გამგეობამ ხმოსნად მიიწვია საბჭოში კანდიდატი ა. ა. ბიბუთოვი.

✦ **ქალაქის საბჭოში** ხვალ, ამა თვის 9 მორიგ საქმეების განხილვის წინ გარდახდილ იქმნება პანაშვიდი სტ. ჰრელაშვილის სულის მოსახსენებლად.

✦ **ქალაქის გამგეობას** განცხადება მიართვა ხმოსანმა არ. ბაბოვმა და თხოულობს, რომ ქალაქის საბჭომ თანაგრძნობა გამოუცხადოს განათლების მინისტრად ნამყოფს ბ-ნს იგნატიევს.

✦ **ქალაქის სამხედრო საკრებულოში** იანვრის 9-ს შეამოწმებენ თეთრ-ბილეთიანებს, რომელთაც სამხედრო სამსახურში გასვლის ვადა ჰქონდათ 1906 და 1907 წლებში.

სხვა და სხვა ამბები.

✦ **წყალკურთხევაზე**, კარგი ამინდის გამო, აუარებელი ხალხი მოგროვდა. გოლოვინის პროსპექტიდან იორდანემდის ჯარის კაცები ორპირად იყვნენ ჩაწყრივებულნი: საქართველოს ეგზარხოსი მაღალ ყოვლადუსამღვდელოესი პლატონი მწირველი ბრძანდებოდა სამხედრო ტაძარში. სიონის ტაძრიდან ლიტანიის მოუძღვა ეპისკოპოზი დამიანე. წყალკურთხევას დაესწრნენ: მეფის ნაცვლის თანაშემწე თავ. ორლოვი, თავად-აზნაურთა მარშალი, სახელმწიფო საბჭოს წევრი, თ. კ. აფხაზი, თბილ. კომენდანტი გენ. ვ. გაბაშვილი, კავკასიის სამხედრო ოლქის უფროსი გენერ. ვოლსკი და სხ. წყლის კურთხევის გათავებისას თოფები დასცალეს. ეპისკოპოზმა ანტონმა ჯარის კაცებს ჩამოუარა და ბიაზმა ასხურა, შემდეგ ლიტანიას გაუძღვა სიონის ტაძარში.

✦ **ყასბების გაფიცვა.** 1 იანვრიდან, ქალაქის საბჭოს დადგენილების თანახმად, ქალაქის გამგეობამ დაამტკიცა მუშათა არტელი, რომელსაც ნაკისრები აქვს საქონლის დაკვლა და გატყავება. არტელს პირობა აქვს ქალაქის გამგეობასთან, ხოლო ამ უკანასკნელს კი ყასბებთან. არტელის დაარსება არ მოეწონათ მდიდარ ყასბებს, გაიფიცნენ და ნაახალწლევს 3 დღის განმავლობაში საქონელი აღარ მიიყვანეს სასაკლაოზე დასაკლავად. მაგრამ ბოლოს შეურიგდნენ ახალ წესს და გუშინ, 7 იანვარს, გაფიცვას თავი დაანებეს და დასაკლავი საქონელი მირეკეს სასაკლაოზე.

✦ **ფრესკების გამოფენა.** დღეს, ქართულ ფრესკების გამოფენის გახსნის დღის („დიდების ტაძარში“ გოლ. პროსპ.), ბ-ნი ე. ს. თაყაიშვილი წაიკითხავს ლექციას ქართულ ფრესკების შესახებ. ლექცია დაიწყება 1 საათზე, შესვლა 1 მანეთია, მოწაფ. 50 კ.

✦ **სტ. ჰრელაშვილის კუბოზე** დასადებ გვირგვინის ნაცვლად ს. და ლ. მირზოევებმა ხუთი თუმანი შესწირეს სათავად-აზნაურო გიმნაზიასთან არსებულ უფასო სასადილოს.

✦ **სტ. ჰრელაშვილის ცვედრის დაკრძალვა.** 7 იანვარს, წირვა დაიწყო ქვაშვეთის ეკლესიაში დილის 10 საათზე. მწირველი იყო დეკ. კალ. ცინცაძე. წირვას დაესწრნენ: ქალაქის გამგეობის მთელი შემადგენლობა, საბჭოს ხმოსნები, გამგეობის მოსამსახურენი, განსვენებულის ნათესავები, ნაცნობნი, პატივისმცემელნი და სხ. გვირგვინები მიართვეს: ვერცხლისა ქალაქის გამგეობამ, ცოცხალ ყვავილებისა ქალაქის გამგეობის მოსამსახურეებმა, აგრეთვე ქალაქის საბჭოს სასკოლო კომისიამ, ქალთა კავშირის თბილისის კომიტეტმა და სხ. წაწირვებს ეკლესიაში სიტყვა წარმოსთქვა დეკ. კალ. ცინცაძემ, შემდეგ ცხედარი გაასვენეს გოლოვინის პროსპექტით და ერევნის მოედანზე, ქალაქის სახლის წინ, მცირე პანაშვიდი იქმნა გადახდილი. აქვე სიტყვა წარმოსთქვა ქალაქის მოურავმა ა. ი. ხატისოვმა. შემდეგ ცხედარი წაასვენეს დიდუბის ეკლესიის გალავანში და იქ მიაბარეს მიწას.

✦ **სახალხო სახლი.** დღეს საღამოს, სახ. სახლთან არსებულ ქართ. წარმ. მმართველ წრის მიერ წარმოდგენილი იქნება მეორედ სახალხო სცენაზე ფაფაზიანის დრამა „კლდე“. ადგილების ფასი სახალხოა, დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

✦ **გაფიცვა „ქართლი-“ს სტამბაში** უკვე დამთავრდა. სტამბის პატრონმა თ-დმა ციციშვილმა მუშებს 25 პროც. მოუმატა და მუშებმაც განაახლეს მუშაობა.

თელავი.

იანვრის 4-ს, დილის 4 საათზე, რამდენიმე შეიარაღებული კაცი დაეცა ფოსტის კანტორას და სცადა კარების შემტვრევა. მაგრამ დროზე გაუგეს ფოსტის უფროსმა და მსახურებმა, აუტეხეს შიგნიდან სროლა. დამცემებმაც ესროლეს რამდენჯერმე და გაბრუნდნენ ხელცარიელები.

— აქ სრულიად გამოილია ფქვილი. მეპურეთა დუქნები თითქმის ყველა დაკეტილია და აღარსად ცხვება პური. ეხლა-კი მიიღო კახეთის კავშირმა 1 ვაგონი შაქრის ფხვნილი, 14 ვაგონი ფქვილი, მაგრამ იმაში მხოლოდ ორი ვაგონია თელავისა, დანარჩენი სოფლების კოოპერატივებისა[illegible]. თუ დროზე არ მოშველეს კიდევ ფქვილი, თელავს დამშევა არ ასცდება.

— როგორც გადმოგცეს, ამ დღეებს სოფ. შილდაში ქურდებს დაუტაცნიათ 25 სული მსხვილფეხი საქონელი.

— იანვრის 3-ს თელავის საკრებულო დარბაზში, მის წევრთა ბავშვებისათვის გაიმართა „შობის ხე“.

ხონუთი.

როგორც დანამდვილებით გავიგეთ, განსვენებულის ალექსანდრე სარაჯიშვილის მამულს (1,000 დესიატინა) კოდორის ხეობაში სვანები ყიდულობენ. ეს მამული სვანების სამზღვრისაკენ მდებარეობს, შიგ უხვადაა სახნავ-სათესი და ტყე.

## რა სარგებლობა მოაქვს ტანის ვარჯიშს და ფიზიკურ მოძრაობას
(საპედაგოგ. წერილი)

ჩვენი სკოლა აქამომდის ზრდიდა ახალთაობას, რომელმაც არ იცოდა ფიზიკურ მოძრაობათა დიდი სარგებლობა და არ ესმოდა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ჯანის სისაღისათვის სხეულის კანის წესიერ მუშაობას. მოწაფენი გამოდიოდნენ სკოლიდამ სრულიად უვიცნი იმ წესებისა, რომელთაც შეუძლიათ ადამიანს მიანიჭონ ხანგრძლივი საღი სიცოცხლე... ჰიგიენურ წესთა უვიცობა—როგორც რამ სენი მოდებულია ჩვენს ერში და უქადის საშიშს მყობადს... ისეთს, კულტურის მხრით ძლიერ ერს, როგორიც ქართველი ერია, ვერა რა მოსპობს, თუ არ ფიზიკური დაუძლურება, ფიზიკური გადაშენება. ჩვენმა წარსულმა მოგვცა მშვენივრად შემუშავებული ენა ფილოსოფიისა, პოეზიისა, სჯულმდებლობისა და ღვთისმეტყველებისათვის. ასეთი მდიდარი ენის პატრონს ერს არ უნდა ეშინოდეს არაფრისა, უკეთუ მის არსებაში არ შეიპარა ფიზიკურ დასნეულების და გადაგვარების ხსენი... მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ერის ჯანის სისაღეს, მეტი მზრუნველობა უნდა გამოვიჩინოთ ჩვენი ახალთაობის ფიზიკურ აღზრდის საქმეში... ამ მხრით იმდენი მნიშვნელობა არ აქვს ჭამასმას, რამდენიც სხეულის გასამაგრებლად ტანის ვარჯიშს და ფიზიკურ მოძრაობას. მათი მეოხებით: ა) უმჯობესდება სისხლის შემადგენლობა; ბ) საჭმლის მონელება სწარმოებს ენერგიულად, და ძილიც მშვიდი აქვს ადამიანს; გ) სისხლის შეგუბებას აღარ აქვს ადგილი: ამით ისპობა მიზეზები თავისტკივილისა, სიმსუქნისა, ნეკრესის ქარებისა და, ასე გასინჯეთ, ჭლექისაც; თვით კუ, ეს უუსაშინლესი სე-

რატორ იოსებ II-ძი მირთმეულ სიგელში მეფე ერეკლე სწერდა: „... ერი ჩვენი მცირერიცხოვანი არის, მაგრამ რეგულიარული ლაშქარი რომ გვყავდეს, ჩვენზე აღმატებულ მტერსაც გავუმკლავდებით და არც არავინ გაგვიბედავს წინაღდგომასო...[3]) მაგრამ, ნიკო ნიკოლაძის თქმის არ იყოს, „ქვეყნის პოლიტიკას, ადამიანის—სურვილი კი არა, ამ ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა სჭედს...“ მაშინდელი ავსტრიის სახელოვანი რეფორმატორი, ეკატერინე II-ს მეგობარი იმპერატორი, არ იცნობდა ახლანდელ Drang nach Osten-ის პოლიტიკას.. საქართველოს პოლიტიკას კი მაშინდელი საბედისწერო ვითარება სჭედდა: დასავლეთ ევროპის კარი, შავი ზღვა, დაკეტილი იყო, სამხრეთით საშიშარ ოსმალეთ-სპარსეთის სახელმწიფონი ეკრნენ საქართველოს, აღმოსავლეთით ლეკები ჰკრვეულობდნენ, ჩრდილოეთით რუსეთის იმპერია მოიწევდა... მართლაც რომ, რაც უნდა ეწრიალა საქართველოს, რუსეთთან დაკავშირებას მაინც ვერ ასცილდებოდა... ერეკლეც ამ გზას ადგება,.. ევროპაში დესპანობამ მხოლოდ დააჩქარა ეს პროცესი... ვენის დიპლომატის პატივისმცემელი ეკატერინე დაფიქრიანდა ავსტრიელთა მიერ ქართულ საქმეში ჩარევის უსიამოვნო შედეგებით, ხელად ყურად იღო მეფე ერეკლეს სურვილი რუსეთთან დაკავშირებისა და 1783 წელს, სწორედ ყირიმის შემოერთების წელსვე, შეეკრა პირობით ერეკლეს...

1783 წლის საკავშირო ტრაქტატით საქართველო აღიარებს რუსეთის პროტექტორატს, იმ პროტექტორატს, რომელსაც ასე ამაოდ შეაძლევდა ერეკლეს სპარსეთი... სამაგიეროდ, რუსეთი სავსებით იზიარებს გაერთიანებულ, მთლიან საქართველოს იდეას, იმ იდეას, ერეკლეს პოლიტიკას მუდამ ჟამს სულს რომ უდგამდა...

1783 წლის აქტის უფლებრივი ნორმები მარტო ქართლ-კახეთს კი არა, მთელ ისტორიულ-ბუნებრივ საქართველოს გარემოიცავენ... ტრაქტატის შესავალში ერეკლე მეფის ტიტლო ასეა ჩაწერილი: „მემკვიდრე ხელმწიფე და მფლობელი ირაკლი მეორე... მეფე ქართლისა, მეფე კახეთისა, მემკვიდრე მფლობელი სამცხე-საათაბაგოსი, მთავარი ყაზახისა, მთავარი ბორჩალოსი, მთავარი შამშადილისა, მთავარი კაკისა, მთავარი შექისა და მთავარი შირვანისა, მფლობელი და მბრძანებელი განჯისა და ერევნისაო“... [4]) ტრაქტატის მეორე არტიკული აძლევს: „თავსდებობასა თვისსა მთლად დაცვასა აწინდელთა სამფლობელოთა მისისა უგ—სა მეფისა ირაკლე თეიმურაზოვიჩისათა და წინადსდებს განვრცელებასა თავსმდებობისასა გვარსა ზედა სამფლობელოსა, რომელნიცა წარმდინარეობასა შინა დროთასა გარემოებითა და განჩრევითითა ხატითა შესაბამად სამფლობელოისა მისისა იპოვებიან, პოვნილნი იგი სამფლობელოისა მისისა მიმართ დაიმტკიცებიანო..“[4]) ტრაქტატის მეოთხე სეპარატი არტიკულით ეკატერინე აღსთქვამს... „იმათ რომელსაცა ყოველი შემძლებლობაი მეცადინეობისა ღონითა საჭურველისათა, ხოლო დროსა მშვიდობისასა დაზავებისა მიერ, უკუმოქცევისათვის ქვეყანისა და ადგილთა მტერთაგან ქონებულთა და ძველადვე სამეფოისა მიმართ ქართლისა და კახეთისა შერაცხილთა—ესენი უკვე დაჰშთებიან სამფლობელოდ მუნებურთა მეფეთა საბუძველსა ზედა თქმულთა ჰაზრთასა, რომელნიცა ითქვნენ მფარველობისათვის“...[4]) დასასრულ, სეპარატის პირველი არტიკული „აღიძრავს დიდებულობა მისი მისისა უგანათლებულესადმი მეფისა ქართლისა და კახეთისა ირაკლი თეიმურაზოვიჩისა მიცემად მეგობრობისა და კეთილის თანხმობისა უგანათლ—ისა მიმართ იმერთასა სოლომონისა განწესებისათვის ყოვლისა მის, რაიცალა შესაძლებელ არს ოდენ ღონიერყოფად,.. აღსთქვამს იმპერატ—ითა ხიტყვითა თვისითა არათუ ოდენ შეწევნად მეცადინობითა თვისითა ყოფისათვის ესოდენ სასარგებლოისა ამის საქმისა, არამედ ამას ესე ვითარსაზედა მშვიდობასა და თანხმობასა მისცემს თვისსა თავსმდებობისაო“...[4])

ამგვარად, 1783 წლის აქტი ერთის მხრივ აღიარებს ქართლ-კახეთის უფლებას ძველად ქართულ სამეფოს გვირგვინის კუთვნილ ქვეყანაზედ; და ამ ქვეყანაში ეტიტლოში ნახსენებ სამცხე საათაბაგოს გარდა ხომ მთელი იმერეთი და მთელი ოსმალეთის საქართველო უნდა იგულისხმებოდეს. მეორეს მხრით, რუსეთი პირდაპირ ამტკიცებს ქართლ-კახეთსა და იმერეთს შორის თანხმობა-ერთობას და ამით სრულებით თუ არ უარჰყოფს, მეტად ასუსტებს მაინც კუჩუკ-კაინარჯის აქტის 23 მუხლის ძალას...

1783 წლის ტრაქტატით ზურგ-გამაგრებულ ერეკლეს ხელ ახლად ეძლევა ლიხის მთის იქით აქტიურ პოლიტიკის სახსარი... 1784 წელს გახსნილ დარიალის კარით მოვიდა ქართლ-კახეთის შესაწევარი რუსის ჯარი... მეფე ერეკლეს განკარგულებაში მყოფი ორი ბატალიონი ხიშტი შესაფერ შთაბეჭდილებას ახდენს ოსმალეთში და სპარსეთში... ახალციხის და აზრუმის ფაშები და თვით ალა-მამად-ხანი შუამდგომლობას სთხოვენ ერეკლეს, რუსეთის წყალობით ზიარებისათვის.. ინდოელი სომხები მილიონების წკარუნით ცდილობენ ერეკლეს მოჰხიბლვას და სომხეთის სამეფოს აღდგენასა სთხოვენ, თუნდაც ქართულის გვირგვინით... სოლომონისა, დადიანისა და გურიელის თვალი მიპყრობილია ერეკლეს წარმართებისაკენ, და მთელი იმერეთი ისე შეჰყურებს ქართლ-კახეთის მეფეს, როგორც მთელ საქართველოს მხსნელ ეროვნულ მხედართმთავარს...

მაგრამ 1787 წელს რუსეთ-ოსმალეთის შუა ახალი ომი იწყება... ტოტლებენის კამპანიით გულგატეხილი ეკატერინე აბრუნებს საქართველოში მდგარ ჯარს უკანვე რუსეთში... დაგვიანებით გაფრთხილებული ერეკლე ძლივს ასწრებს ახალციხის ფაშასთან და შემდეგ თვით ხონთქართან მორიგებას, რომლის ძალით რუსეთ-ოსმალეთის მეორე ომის დროს ქართველები და ოსმალები არაფერს ერჩიან ერთიერთმანეთს... ახალი საზავო ტრაქტატის მოიმედე ერეკლე მოლაპარაკებას ჰმართავს იმერეთთან და, როგორც მთელი საქართველოს და რუსეთის შუამდგომელი, წინადადებას აძლევს ეკატერინეს—დაზავების ტრაქტატში საქართველო არ გამოსტოვოთ და, 1783 წლის ხელშეკრულებისა თანახმად, სამცხე-საათაბაგო ქართლ კახეთს, აჭარა და მთელი მისი მხარე (ე. ი. ჭანეთიც, გვ.) კი იმერეთს არგუნეთო“[5]).

იმერეთის საქმეები ამ დროს მეტად არეული იყო. სოლომონ პირველი გარდაიცვალა უშვილოდ. დაობლებულ ტახტის კანონიერ მემკვიდრედ ჯერ კიდევ მეფის სიცოცხლეშივე იყო გამოცხადებული ერეკლეს და დარეჯანის შვილის შვილი, დავით არჩილის ძე. მაგრამ სოლომონის გარდაცვალების წელს, 1782-ში, დავითი მხოლოდ თორმეტის წლისა იყო და დიდებულებმა ის კი არა, სოლომონის ბიძაშვილი, სრულ ჰასაკოვანი დავით გიორგის ძე გაამეფეს. ერეკლე პირველად არ გამოჰქომაგებია თავის შვილის შვილს, რადგან მაშინ 1783 წ. ტრაქტატი არ იყო კიდევ დადებული და ისე კი ვერ ჰბედავდა კუჩუკ-კაინარჯის ოსმალეთის საპროტექტორატოდ დამტკიცებულ სფეროს შეჰხებას. როდესაც კი 1873 წ. ტრაქტატი შეიკრა, მაშინ დავითი გიორგის ძე უკვე გამეფებული იყო... მაგრამ ამ დროს მისნი საკუთარნი ქვეშევრდომნი აიშალნენ, მცირე წლოვანი დავით არჩილის ძეც წამოიზარდა და იმერეთის ტახტის მაძიებელთა საწეწავი გახდა... აბეზარს მოსულ ხალხში თან და თან განმტკიცდა აზრი ქართლ-კახეთის და იმერეთის ერთ სამეფოდ შეერთებისა. ეს აზრი გურიისა და ოდიშის მთავრებმაც მოიწონეს... თბილისში ჩამოვიდნენ დელეგატებად არჩეულნი ეპისკოპოსნი, სარდალი, სახლთ-უხუცესი, ფიცის კაცნი და სთხოვეს ერეკლეს:—„ინებოს და შეიერთოს თვისად სამეფოდ იმერეთი, ვითარცა იყო ერთმთავრობის დროსაო“. [6]) ერთად ერთ პირობად იმას სთხოვდნენ ერეკლეს,—წელიწადში ორ საყოფელ დროთ გაჰხადეთ, ხან თბილისს ბრძანდებოდეთ და ხან ქუთაისსაო. ერეკლემ სახელმწიფო რჩევის დანიშვნა ბრძანა. ჩვეულებისამებრ, ვერ შესთანხმდნენ. დაბოლოს თვით ერეკლემ ასე გარდასწყვიტა: „თხოვნას ამას ვერ მივიღებ; მტერი მადგას კარსა. დესპანნო, წარვედით და იმერთა გამოუცხადეთ, რომ დავსვამ იმერეთის ტახტზედ შვილის შვილსა ჩემსა და ესრეთის კავშირით თავით თვისით იქნება ერთობა იმერეთისა ქართლისა თანაო“.

მართლაც, როგორ შეეძლო ერეკლეს იმერეთის სამეფოს სრული გაუქმება და შემოერთება და ამით ოსმალეთის უფლებათა დარღვევა, როდესაც თვით მაშინდელი რუს-ოსმალოს ომი ჯერ კიდევ არ დასრულებულიყო და რუსის გამოგზავნილი ბატალიონები კი კავკასიის იქით ისვენებდნენ... მაგრამ ერეკლემ მაინც გამოიყენა ეს ხელსაყრელი გარემოება და ერთი დიდი ქვა ჩაუდო იმერეთ-ამიერეთის ერთიანობის საძირკველს. მან თავის შვილის-შვილს ქართლ-კახელთ ლაშქარი მიაშველა, გაამეფა იგი სოლომონ მეორის სახელის დარქმევით, დაუნათესავა და შეარიგა გრიგოლ დადიანს და ორივე მათგანს გურიელთან ერთად, როგორც ვასალებს, დაადებინა „ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან“ 1790 წელს თბილისში დამტკიცებული საკავშირო ტრაქტატი, რომელიც საქართველოს სახელმწიფო და საეროვნო პოლიტიკის ერთ უბრწყინვალეს ძეგლად უნდა იყოს მიჩნეული...

ვ. ვეშაპელი

(დასასრული იქნება)

[3]) იხ. ნაჩვენებ წიგნის 15—16 ფურცელი.

[4]) ნახეთ პროფ. ა. ცაგარელის „გრამოტების“ მეორე ტომის 76 ნომერი დოკუმენტი.

[5]) ა. ცაგარელი. იქვე, ფ. 66.

[6]) ნახეთ პლ. იოსელიანის „ცხოვრება“, ფურც. 18—21.

[illegible]

ფშავ-ხევსურეთის საქმეთ დახმარება ეჭირვება

[illegible]

წერილი თელავიდან

[illegible]

ეხლაც, ამ საახალწლოთ, ერთი კვირა სრულდება, რაც აღარ ანთებულა. ხალხი სწუხს, იტანჯება, ნატრობს ძველ ფარნებს, მაგრამ სადღაა, ძველი ფარნები მოგვისპეს, ახლებიც აღარ ინთება; იძულებულნი ვართ კედლის ძირებზე ხელის ფათურით ვიაროთ ამ საშინელ ბნელ ღამეებში, თუ გვინდა, რომ ან ლაფის მორევში არ შევტოპოთ, ან ყინულზე არ წავიქცეთ. ადამინები თავპირს იმტვრევენ, მაგრამ შემბრალებელი არავინაა. მერე, რატომ არის ეს აუღებელი ყინული? რატომ და იმიტომ რომ, ვგონებ რაც თელავის ციხე დაარსებულა და პირველი ტუსაღები გამოუმწყვდევიათ შიგ, მასაქეთ დაყოლებულია ტუსაღების სარეცხის საპნიან წყლისა და ათასგვარ სიბინძურისთვის გამოსავალი, რომელიც ზედ შუა ბაზარზედ მოდის და ზამთარში ჰყინავს გზას, ხოლო ზაფხულში აყროლებს ბაზარს. უხსოვარ დროიდან ჟყურებენ ზედ შუა ბაზარზედ ამ სისაძაგლეს ჩვენი ქალაქის მამანი და იმოდენა ვერ მოუხერხებიათ, რომ იქვე ციხეზე ოცის მხარის მოშორებით ხევში გაიტანონ მილებით ნარეცხი წყალი და მით აალდინონ ბაზარს. მაგრამ ჩვენმა ქალაქის მამებმა სხვა რა გააკეთეს, რომ ეს გააკეთონ. ქალაქის განათებას და საერთოთ ქალაქის სვებედს არავითარ ყურადღებას აქცევენ და აი იმისთვის სარგებლობენ კიდეც უპატრონო ქალაქში ათასი ვგინდარა ფულის მოყვარე მოიჯარადრენი.

შ—ლი.

## ღია წერილი

**ბ. ბ. ოზურგეთის საურთიერთო ნდობის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარეს—ალმასხან კალანდაძეს, მოადგილეს—დიმ. მურვანიძეს და სარევიზიო კომისიის წევრებს.**

განვლილი წლის გაზ. „სამშობლო“-ს №№ 437 და 439 ოზურგეთიდან მოთავსებული მქონდა წერილი, რომელშაც ვარჩევდი ხსენებულ საზოგადოებაში არსებულ ანორმალურ მოვლენათ და საილიუსტრაციოთ ისეთ ბრალდებათ გიყენებდით თქვენ, ბ. ბ. კალანდაძე და მურვანიძე, რომელთა უყურადღებოდ დატოვება და სიჩუმით ჩატარება არას გზით არ შეიძლებოდა თქვენის მხრით. ჩემს წერილს თქვენი პასუხი მოჰყვა და სთხოვდით რედაქციათა წარმომადგენლებს გაერჩიათ ჩვენს შორის ატეხილი დავა და გამოერკვიათ ჩემ მიერ წამოყენებულ ბრალდებათა საფუძვლიანობა. სულ მოკლე ხანში საზოგადოების წევრთა არაჩვეულებრივი კრილობა მოხდა, რომელზედაც „ინტრიგანობად“ მონათლა სარევიზიო კომისიამ ჩემ მიერ წამოყენებულნი ბრალდებანი. რადგან ჩემთვის ბურუსითაა მოცული, თუ რა პირობებში მოხდა საზოგადო კრილობა და თქვენი გამართლება (პრესაში სულ მოკლეთ იყო მოყვანილი კრილობის ანგარიშები), მე მაინც ველოდი საქმის გამორკვევას რედაქციათა წარმომადგენლების მიერ და ეს კი, ეტყობა, აღარ მოხდება, ამიტომ იძულებული ვარ ხელ-ახლა გაგიმეოროთ, რომ გაზ. „სამშობლო“-ს ხსენებულ ნომრებში მოყვანილ ბრალდებათ მთლიანად ვიცავ და, ბ. კალანდაძე, თქვენ კი ახალ ბრალდებას გიყენებთ, სახელდობრ: სიყალბის ჩადენას (подлогъ) ბანკის საქმეებში; სარევიზიო კომისიას კი ცალმხრივობას და მიკერძვასა ვწამებ, რადგან მფარველი კალთა გადაგაფარათ, დაუმალა საზოგადო კრებას და არ გამოამჟღავნა თქვენი სააუგო მოქმედებანი.

გ. მუმლაძე.

## დაბა-სოფლები

**თიანეთი.** „საქართველოს“ მკითხველებმა იციან, რომ ამ ორ თვის წინად ფშაველებმა დეპუტაცია გაუგზავნეს თბილისის გუბერნატორს—სთხოვდენ: წითელ-ლურჯ ბილეთიანები დაებრუნებია იქვე მთებზე დასაყენებლათ, რადგან, როგორც ქისტეთის მომიჯნეთ, დიდი შეწუხება და ზარალი ადგიათ ქისტებისაგან. გუბერნატორი დეპუტაციას დაჰპირდა, თქვენს თხოვნას აგისრულებ, მხოლოდ ჯერ უნდა გამოცხადნენ სამხედრო სამაზრო უფროსთან, რათა გადარიცხონ იგინი ჯარში, მერე კი ისევ უკანვე დაბრუნდებიან და მთეზზე დააყენებენო. დღეს ახალი მამასახლისი შუაფხოს საზოგადოებისა ერეკება ფშაველებს დუშეთისაკენ სამაზრო სამხედრო უფროსთან და ეს უკანასკნელიც მოწინავე პოზიციებზე ჰგზავნის.

ამ შემთხვევაში ვინაა მართალი ან მტყუანი, ძნელი გამოსაცნობია, მაგრამ ეს კი ცხადია, რომ თიანეთის პოლიცია ასეთს დაუდევრობას პირველად არ იჩენს. გუბერნატორის გადაწყვეტილება ვ-ს უნდა მოეყვანა სისრულეში, თუ არა სამაზრო ადმინისტრაციას? ესენი უდგანან ხალხს სათავეში და ამათვე უნდა ეზრუნათ ადრევე. უნდა შეედგინათ სიები ლურჯ-წითელ ბილეთიანების და გადაეცათ გუბერნატორისთვის, ის კიდევ თავად მოახდენდა განკარგულებას.

ადვილი შესაძლებელია, მაღალმა საგუბერნიო ადმინისტრაციამ არც კი იცოდეს, რომ ფშავლები, დიდი ხანია, ბრძოლის ველზე სულსა ლევენ. დადგება თუ არა მარტი, ქისტები ჩვეულებრივად დაიწყებენ თარეშს ფშავეთში, მით უმეტეს იგეთ დროს, როგორიც ეხლაა, როცა ოჯახში აღარავინაა. ესეთი მაგალითები პირველი ხომ არაა? 1916 წელში მარტო შუაფხოს საზოგადოებას ქისტებმა და ყაჩაღებმა 20,000 მანეთის ზარალი მიაყენეს.

ეს ცნობები თიანეთის პოლიციას ხელში უჭირავს და ნეტა რას ელის? ეს თვე ნახევარი-ღა დარჩენია. საჭიროა თიანეთის პოლიციამ სამოც-სამოცი კაცი დააყენოს უკანაფშავის და შათილის მთებზე, აგრეთვე ათ-ათი კაცი ორწყალსა და მაღაროს კარში, რომ ის აღარ განმეორდეს, რაც წელს მოხდა. თუ ფშავლებს არა სურსთ თავის ქვეყანაში,—რუსები მოიყვანონ, მხოლოდ მშვიდობიანი ხალხი კი გადაარჩინონ მტრისგან აოხრებას.

მთის მოძღვარი.

## შემოწირულება

**მოსკოვიდან მიხეილ და ეკატერინე ასათიანებისაგან რედაქციას მოუვიდა** ათი თუმანი ქართველ მოღვაწეთა აგარაკის ასაშენებელ ფონდისათვის. ასათიანები ამ ფულს ჰგზავნიან ნაცვლად გვირგვინისა, რომელიც უნდა შეემკოთ მათის დაუვიწყარის ძმის, აწ განსვენებულის სტეფანე ჭრელაშვილის კუბო.

—

სოფ. კორბოულის (შორაპნის მაზ.) იაკ. გოგებაშვილის სახელობის უფასო წიგნთ-საცავ სიმკითხველოს 1916 წ. თავიანთის საფასით გამოუწერეს: ბ-ნმა კიტა აბაშიძემ გაზეთი „მეგობარი“, ბ. ივ. გომართელმა „თეატრი და ცხოვრება“ და ბ. პეტრე ტალანაძემ გაზ. „თანამ. აზრი“. შემომწირველთ მადლობას უძღვნის სამკითხველოს გამგე

მღ. ვლადიმერ მაჭარაშვილი.

## ჩვენი ფოსტა

**ბ-ნს კ. ქურდევანიძეს.** გმადლობთ თანაგრძნობისათვის.

**ქუთაისში**—„ჩვენს მეგობარს“ ორი ნომერი გეგზავნებათ „იმერეთის“ საშუალებით.

**ს. შუაფხო**—მამა ფარნ. ზაბახიძეს საწუხაროთ ვერ გამოგიგზავნით, სანამ ფულს არ მივიღებთ თქვენგან.

**სოხუმი**—ი. პატარაიას. ის № არა გვაქვს.

რედაქტორ-გამომცემელი
**სანდრო შანშიაშვილი**

## ამიერ-კავკასიის რკ. გზის

**მატარებლების მიმოსვლა**

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 10.33 საღ. |
| ბორჯომისკენ | სამგზ. | № 19, | 3,20 დღ. |
| „ | „ | № 17, | 8.27 დილ. |
| გორისაკენ | სამგზ. | № 61, | 9.10 დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 11.13 დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-3, | 11.13 საღ. |
| თელავისაკენ | | № 4, | 8 „ 58 „ დილ. |

**თფილისში მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 9.52 დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.43 დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 საღ. |
| გორიდან | სამგზ. | № 62, | 6.34 საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 8.48 საღ. |
| თელავიდან | | № 3, . 6 | „ 24 „ საღ. |
| ყარს-ჯულფ. | საფ. | № 3***, | 8.10 დილ. |

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უფლებიანი მუდმივი

# კომერციულ ცოდნათა კურსები

# ჯ. მ. ფილოსიანისა

ორივე სქესისთვის

(თბილისი, მიხეილის პროსპ., № 24, ტელ. № 976)

**თხოვნები მიიღება:** 4—5 საათ. საღამოთი. მეცადინეობა დაიწყება 15 იანვრიდან. პროგრამები და წესდებანი მსურველთ გაეგზავნებათ, ან მიეცემათ უსასყიდლოთ კურსების კანცელარიაში.

(20—340—12)

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი

# „განათლება“

(წელიწადი მეათე)

ჟურნალის მიზანია ხელი შეუწყოს ქართულს ოჯახებსა და სკოლებში წესიერად სწავლა-აღზრდის საქმეს ეროვნულს ნიადაგზე. „განათლება“ აწვდის მკითხველებს წერილებს, როგორც სწავლა-აღზრდის შესახებ, აგრეთვე მეცნიერების ყოველგვარ დარგიდან დ სიტყვა-კაზმულ მწერლობიდან. ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივად ყოველ თვე გარდა ზაფხულის ორის თვისა (ივლისი დ აგვისტო).

ჟურნალში ჩვეულებრივად იქნება ცალკე განყოფილება, სადაც დაიბეჭდება ყოველგვარი ცნობები ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა და მისი განყოფილებათა მოქმედების შესახებ.

ხელის მოწერა მიიღება თბილისში ქართულ გიმნაზიაში, „ნაკადულის“ რედაქციაში, წერა-კითხვის საზოგად. წიგნის მაღაზიაში ვ. ავალიშვილთან, „Новая рѣчь“-ის წიგნის მაღაზიაში კიკნაძესთან და „განათლების“ კანტორაში, ოლღას ქ. № 6. წლიურად ჟურნალი გაგზავნით ღირს 5 მან., თბილისში ხელისმომწერთათვის 4 მან., სოფლის სკოლის მასწავლებლებს, სახალხო სამკითხველოებს, საშუალო სკოლის მოწაფეებს, სტუდენტებს, მუშებს ჟურნალი დაეთმობათ 3 მან. 50 კაპ. ცალკე ნომერი ჟურნალისა ღირება 50 კაპ.

**მისამართი:** Тифлисъ, Дворянская Грузинская Гимназія Л. Г. Боцвадзе.

რედაქტორ-გამომცემელი ლ. გ. ბოცვაძე.

**ხილეული, მადნეული წყლის** მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: **მოითხოვონ და სვან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე**

# ლალიძის

**და ამხ-ს ქარხნის საუკეთესო ხილეულ** მადნეულის **ნამდვილი სამკურნალო** წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გაზშირებულია და ხშირად შეცდომაში შეყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების **ყალბი** ეტიკეტების მიმსგავსებით **ნამდვილი ლალიძის წყლის** ეტიკეტის ნიშანი შემდეგია

ქართულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო **სამრეწველო მინისტრის მიერ** პეტროგრადში დ თვით პრობკებსაც აწერია

„ლალიძის წყალი“




**მხოლოდ და მარტო ლალიძის** წყალია მომზადებული **სრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი** და საუკეთესო ხილის წვნით და მასთანვე

# სუნი და გემოც საამური აქვს

წლ.

# ვინც იტანჯება ათაშანგით

(სიფილისით)

# ვურჩევთ იხმარონ ცნობილი საშუალება

# პრეპარატი

„IODOSTARIN“ (იოდოსტარინ)

მთელი კურსის ფასი 30 მ., ½ კურსის ფასი 16 მ., ¼ კურსის ფასი 8 მ. 50.

ქალაქს გარეშეებს ეგზავნებათ ხუთი მანეთის ბეის მიღების შემდეგ.

შეკვეთა და ცნობების მიღება შეიძლება მხოლოდ **რ. ი. შმიდტან,** თბილისი, ცხინვალის ქ., № 12, გოლოვინის პროსპექტის და მამადავითის ქუჩის ახლო. Тифлисъ, Тхинвальская, № 12, отд. 1—2.

# სპრინცოვკა პროფესორ ტარნოვსკისა

(შესაშხაპუნებელი)

# და სუსპენზორიები, მივიღეთ

I და II ხარისხისა, დიდძალი პარტია, ვაჭრობა **ბითუმად და წვრილად.** ფასები შესაშხაპუნებლისა ბითუმად I ხარისხისა დუჟინი 9 მან. 50 კ., II ხარისხისა 7 მან. 50 კ. სუსპენზორიების ფასი: ბითუმად დუჟინი 7 მან. 50 კ.

**მიმმართეთ შესაკვეთად: რ. ი. შმიდტს,** თბილისი, ცხინვალის ქუჩა, № 12. მისამართი: Тифлисъ, Тхинвальская ул. № 12, отд. 1—7, Р. И. ШМИДТЪ.

ქალაქის გარედ აფთიაქებს და ვაჭრებს გაეგზავნებათ 5 მანეთის ბეს მიღების შემდეგ.

## თევზის მრეწველნი

# ძმ. ძეძველოვები

**პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**ლ. მაილოვის-ძმით,** სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „**მუშოხნი**“ ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სალიანის შამაიები მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გაზაევის შესახვევი № 4